

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი

19.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მაგდა მალრაძე - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი; სხდომის მდივანი.

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;

ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დავით აფრასიძე - რექტორის მოადგილე;

ირაკლი ფორჩხიძე - სამართლის სკოლის დეკანი;

კონსტანტინე ჩოკორაია - სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ელენე ჟურავლიოვა - ასოცირებული პროფესორი;

არჩილ მაღალაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

მურმან მარგველაშვილი - ასოცირებული პროფესორი;

გიორგი გვალია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;

თინათინ ჭინჭარაული - ასოცირებული პროფესორი;

6.10.15

2.2.

ნინო ცინცაძე - ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის დირექტორი.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები:

ერეკლე ჩიგოგიძე - რექტორის მოადგილე

ნინო ჯოჯუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დავით ჩხეტიანი - სამეთაურო სამტაბო სკოლის უფროსი;

გიორგი ყალიჩავა - თავდაცვის უმაღლესი სკოლის უფროსი;

ბობ ჰენდი - ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის წევრი;

მარიამ დარბაიძე - სასწავლო დაწესებულებების სასწავლო სამმართველოს უფროსი;

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დენიტა ბიბილეიშვილი - სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ აბუზანიძე - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი;

ალექსანდრე აბესაძე - სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

არჩილ სამადაშვილი - საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.

შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიის წარმომადგენლები:

ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მოგელი შენგელია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ვასილ კიკუტაძე - ასოცირებული პროფესორი;

მურთაზ კვირკვია - ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი.

6-106

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ზაზა რუხაძე;
სერგო ჭელიძე;
ვაჟა ტრაპაძე;
რამაზ ქურდაძე;
ეკა ეკალაძე;
დავით გეგეჭკორი;
სოზონ ეგუტიძე;
გიორგი გვალია;
მარინა გედევანიშვილი;
დავით სიხარულიძე;
დალი ოსეფაშვილი;
მარიამ გერსამია;
სერგო ჭელიძე;
ია ნაცვლიშვილი;
ციური დურული.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:14 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

5-126

საბჭოს თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, აგრეთვე, მიმართა საბჭოს წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თვითაცილების შესახებ შუამდგომლობით მიმართეს საბჭოს წევრებმა: რევაზ სოლომონიამ - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებით და ელიზბარ ელიზბარაშვილმა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით საბჭოს სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის მე-5 საკითხად გადმოტანის თაობაზე. საბჭომ გაიზიარა თავმჯდომარის მოსაზრება და დამტკიცდა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის

მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

9. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

10. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო სამართლის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითადასტურება განაცხადა საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საემის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზაზა რუხაძემ. მან აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო და წარმოადგენდა იმ იშვიათ გამოწვევას, როდესაც პერსონალი პროგრამას არამხოლოდ სამართლის, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებების ჭრილობაში განიხილავდნენ, რაც, ექსპერტის თქმით, სრულფასოვნების გარანტი იყო. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო შეცვლილიყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული ინგლისური ენის B1 დონე, რადგან B1 დონე არ ითვალისწინებდა დარგობრივი ენის ცოდნას, რის გარეშეც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გართულდებოდა სილაბუსებში მითითებული უახლესი და მაღალკადემიური ინგლისურენოვანი ლიტერატურის ათვისება;

- პროგრამაში იკითხებოდა შემდეგი: „პროგრამის მიზანია მოამზადოს საჯარო სამართლის მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი და ექსპერტი, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების შესახებ...“. პროგრამაში პოლიტიკის სავალდებულო ბლოკს დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 12 კრედიტი. შეისწავლებოდა შემდეგი კურსები: „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“ და „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“. მითითებული კურსების თემატიკიდან გამომდინარე, სადაც სწორი და არსებითი მნიშვნელობის თემები და საკითხები იყო დასმული მიზნის მისაღწევად, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იქნებოდა პოლიტიკის სავალდებულო ბლოკის გაზრდა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მხედველობაში ჰქონდათ არა არსებითად აღნიშნული ბლოკის გაზრდა, არამედ, თუნდაც არჩევითი ბლოკიდან მასში ისეთი კურსის გადატანა, როგორიც იყო „საჯარო არჩევანის ეკონომიკა“ ან დამატებულიყო, მაგალითად, „საჯარო ფინანსები“;

6-106

გ.გ.

- სასურველი იყო ადმინისტრაციული სამართლის კლინიკას დამატებოდა პრაქტიკული კომპონენტი, ამასთან, გაზრდილიყო პრაქტიკისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა;
- სასურველი იყო სასწავლო კურსში „სამართლებრივი წერა და კვლევის მეთოდები“ კვლევის მეთოდების სწავლებას დათმობოდა მეტი საკონტაქტო საათი;

- მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა პროგრამაში მოცემული ორი კურსი „ადმინისტრაციული სამართალი - ინსტიტუტები და პრობლემები“ და „ადმინისტრაციული სამართლის თანამედროვე გამოწვევები და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა“ გაერთიანებულიყო ერთ სასწავლო კურსად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი ფორჩხიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისათვის და რეკომენდაციებისთვის, რაც პროგრამას უფრო დახვეწდა. მან აღნიშნა, რომ წინაპირობის შესახებ რეკომენდაციას იზიარებდნენ და უკვე ასახული იყო დოკუმენტურადაც. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ მეორე რეკომენდაციასაც, რაც საჯარო პოლიტიკის სავალდებულო საგნად გადატანას გულისხმობდა. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ორი ალტერნატივიდან გადაწყვიტეს გაეკეთებინათ კონცენტრაცია, თუმცა პროგრამის ამუშავების შემდეგ, შესაძლოა დამატებითი გზაც შეეთავაზებინათ სტუდენტებისთვის, პროგრამა ახალი იყო, შესაბამისად დრო იძლეოდა საშუალებას კიდევ უფრო დახვეწილიყო კურიკულუმი. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკვე გათვალისწინებული იყო აღნიშნული რეკომენდაცია და საათები გაიზარდა 8-მდე.

მეხუთე რეკომენდაციას რაც შეეხებოდა, დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ რა სახითაც იყო წარმოდგენილი პროგრამა, შედეგებზე გადიოდა, რადგან ბევრად უფრო პრაქტიკულ ელემენტებზე იყო ორიენტირებული და შესაბამისად, ჩათვალეს, რომ ამ ეტაპზე ცვლილებები არ იყო საჭირო ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა მალრამე დაინტერესდა ცვლილებების შეტანის თარიღით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე გატანის შემდეგ, 4 აგვისტოს შევიდა ცვლილებები პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი ფორჩხიძემ აღნიშნა, რომ გათვლა 35-40 სტუდენტზე ჰქონდათ, არსებობდა შესაბამისი მემორანდუმები უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოსთან. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით აფრასიმემ დაამატა, რომ კვლევის მიხედვით, საჯარო პოლიტიკის პროგრამაზე, რომელზეც 25 ადგილი იყო გამოცხადებული, მოთხოვნა დაახლოებით 300-ის ფარგლებში ფიქსირდებოდა, აღნიშნულ პროგრამაზე 35-40 სტუდენტი, შესაძლოა რაოდენობრივად ბევრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა უცხო ენის B2 დონეც საბოლოოდ შეამცირებდა რაოდენობას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ხშირად, როდესაც საჯარო პოლიტიკაზე საუბრობდნენ, აქცენტები ფინანსებზე კეთდებოდა და არა სოციალურ პოლიტიკაზე, მას აინტერესებდა პროგრამაში თუ იყო გათვალისწინებული აღნიშნული საკითხები.

ექსპერტმა, ზაზა რუხამემ უპასუხა, რომ სწორედ ეს წარმოადგენდა ექსპერტების რეკომენდაციასაც, თუმცა მთლიანად არჩევით ბლოკშიც იყო გათვალისწინებული საგნები, რომლებიც უპასუხებდნენ ამ მოთხოვნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა რეგულირებადი იყო და 75% უნდა დათმობოდა სამართალს, თუმცა არჩევითი მოდული მაქსიმალურად იყო ათვისებული ამ კუთხითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6.105

2.8.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვა და მდგრადი განვითარება

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ენერგეტიკის მენეჯმენტის მაგისტრი / სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცივინო თურქაძემ წარმოადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში შემავალი კომპონენტების დაშვების წინაპირობები ლოგიკური იყო, თუმცა სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ დაშვების წინაპირობა საჭიროებდა ნათლად ჩამოყალიბებას. სილაბუსში აღნიშნული დაშვება ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სამაგისტრო საფეხურის პირველი ორი სემესტრი“;

- სწავლის შედეგების ეფექტური მიღწევისა და პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველი იყო დარგობრივ სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ყოფილიყო შრომის დაცვისა და სიცოცხლის უსაფრთხოების საკითხები;

- პროგრამის შემდგომი განვითარებისას, სასურველი იყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება პროგრამის შესაბამისი დარგობრივი (ენერგეტიკის მენეჯმენტი, სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტი) ლიტერატურით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეკომენდაციების ნაწილი უკვე გათვალისწინებული იყო. აკადემიური წერის კურსის წინაპირობასთან დაკავშირებით, კრედიტების მინიმალური რაოდენობის შესახებ მათ აღნიშნეს, რომ ერასმუსის გაცვლითი პროგრამებით ხშირად გზავნიდნენ სტუდენტებს, სწორედ ამიტომ ჰქონდათ კურსი მესამე სემესტრში და წინაპირობად კი სემესტრები იყო მითითებული და არა კრედიტები.

ლიტერატურასთან დაკავშირებით, მათ აღნიშნეს, რომ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების პრობლემა ნამდვილად იდგა, თუმცა პროფესორები აქტიურად მუშაობდნენ ქართულენოვანი ლიტერატურის შემუშავებაზე. ერთერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული პროგრამის შემუშავებაში, რომელსაც ჰქონდა თავისი ლიტერატურა და პროექტები, ასევე უნივერსიტეტში გამოიცემოდა შესაბამისი თემატიკის წიგნები - მაგალითად კლიმატის ცვლილების შესახებ იყო ერთერთი ბოლო გამოცემა, რომელიც რამდენიმე საგანში გამოდგებოდა. პროგრამაში ჩართული პირები ორიენტირებული იყვნენ კურსის განვითარებით, რადგან ქვეყანას სჭირდებოდა ექსპერტები, ამასთან, ასოცირების ხელშეკრულებითაც იყო გათვალისწინებული ენერგოეფექტურობის საკითხები, საჭიროე იქნებოდა კანონმდებლობის განვითარება და ამ მიმართულებით მომუშავე კადრები დეფიციტური იყო საქართველოში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ შრომის უსაფრთხოება უკვე იყო გათვალისწინებული პროგრამით გარკვეულწილად, ასევე ენერგეტიკულ კომპანიებში გასვლები, რაც თავისთავად გულისხმობდა ინსტრუქტაჟს.

საბჭოს თავმჯდომარე მაგდა მალრამე დაინტერესდა ვინ ასწავლიდა შრომისა და უსაფრთხოების კურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით აფრასიმემ აღნიშნა, რომ ცალკე კურსად არ იყო გამოტანილი, თუმცა საკითხები ჩაშლილი იყო სხვადასხვა კურსში. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სრულიად ეთანხმებოდნენ ექსპერტებს და საჭირო იყო აღნიშნული საკითხების სწავლება, რაც გათვალისწინებული იქნებოდა კომპანიებში ვიზიტებისას.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი დაინტერესდა რას ნიშნავდა სავალდებულო არჩევითი კურსები, მან აღნიშნა რომ დამაბნეველი სახელწოდება იყო.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ ეს გულისხმობდა სავალდებულოდ ასარჩევი საგნების ბლოკს, ოღონდ, სტუდენტი თავისუფალი იყო არჩევანში, მათგან რომელ კურსებს აირჩევდა.

ნანა შათაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რატომ ჰქონდათ სავალდებულო არჩევით საგნებში ლიდერობის კურსი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მენეჯერი უნდა ყოფილიყო კურსდამთავრებული, ამ ბლოკის საგნები შეირჩა იმის მიხედვით, თუ სად დააპირებდნენ სტუდენტები მომავალში მუშაობას, მაგალითად, ვისაც არასამთავრობო ორგანიზაციებში ჰქონდა წარმოდგენილი საკუთარი თავი, ის აირჩევდა ლიდერობას, ანუ კურსების დაკომპლექტებისას, მომავალი დასაქმების სპეციფიკა იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რატომ უნდა ყოფილიყო სტუდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობით დაინტერესებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთ ორგანიზაციებს დიდი გავლენა ჰქონდა სამთავრობო სექტორზეც და ამ არეალშიც არ იყვნენ საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური პირები. ამასთან, ენერგეტიკა ბოლო დროს ენერგოეფექტურობასა და განახლებით ენერგიებზე გადადიოდა და ეს აუცილებელ ცოდნას წარმოადგენდა. მისი თქმით, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საბაზო ცოდნა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული - როგორც გარემოს დაცვის საკითხები, ასევე ეკონომიკაც. შესაბამისად, კადრები საჭირო იქნებოდა სამინისტროებშიც, არასამთავრობო ორგანიზაციებშიც და კერძო დაწესებულებებშიც, რომლებიც ამ მიმართულებით იმუშავებდნენ. მათ მიერ დასახული

ამოცანა ფართო იყო, თუმცა მიღწევადი, ამიტომ კომპლექსური ხედვა იქნებოდა საჭირო და არა ვიწრო ჭრილით შემოფარგვლა.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა პრაქტიკულად ყველა ენერგეტიკულ და მინერალურ რესურსს ფარავდა, მათ შორის წყლის რესურსებს, ნავთობს, განახლებად რესურსებს, მადანსა და საშენ მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელ კურსში ისწავლებოდა მონიტორინგისა და შეფასების საკითხები, რამდენი საათი ეთმობოდა კვლევის მეთოდებსა და რა იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობა. პასუხად, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიიღებოდა მენეჯმენტის ან მონათესავე დარგის კურსდამთავრებულები, ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრის ხარისხის მფლობელები. მიღება შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრების შედეგების საფუძველზე ხორციელდებოდა, თუმცა, კონკურსის ზრდის შემთხვევაში, შესაძლო იყო მიღების პროცედურების გათვალისწინებით, კვლევის მეთოდების საკითხები, წარმომადგენლის თქმით, სხვადასხვა სასწავლო კურსში იყო ჩაშლილი, ასევე, სხვადასხვა კურსის ფარგლებში, სტუდენტებს უწევდათ კვლევის ჩატარება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც ჩანდა, პროგრამა უფრო შრომის ბაზრისთვის კადრების მომზადებაზე იყო ორიენტირებული და სადოქტორო საფეხურზე - ნაკლებად, ვინაიდან, კვლევის მეთოდების ათვისება მეტი დროის დათმობას საჭიროებდა და მისი ცალკეული კურსის სახით წარმოდგენა სასურველი იქნებოდა. დაწესებულებსი წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პროგრამა ძირითადად შრომის ბაზარზე იყო ორიენტირებული, თუმცა, პროგრამა მოიცავდა სასწავლო კურსს „მდგრადი განვითარება და სისტემური ხედვა“, სადაც მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ აითვისებდნენ სტუდენტები არსებული რეალობის კვლევის უნარებს და შეიძენდნენ სისტემური ხედვების დანერგვის კომპეტენციებს - პროგრამის მეტნაკლებად სამეცნიერო მიმართულება სწორედ ამ საკითხში ვლინდებოდა. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საკითხები ცალკე სასწავლო კურსად არ იყო წარმოდგენილი, თუმცა საკითხები ჩაშლილი იყო სხვადასხვა სასწავლო კურსში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ შეძლებდა პროგრამაზე ჩარიცხული ბაკალავრი, რომელსაც კვლევასთან შეხება ჯერ არ ჰქონია, კვლევის მეთოდების დამოუკიდებლად ათვისებას, თუკი პროგრამა არ უზრუნველყოფდა მას სრულყოფილი სათანადო კურსით. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება რეალობის მოთხოვნებიდან ამოდიოდა და სფეროში სტუდენტის პრაქტიკული საჭიროებებს ითვალისწინებდა, პროგრამა ძირითადად მენეჯერების მომზადებაზე აკეთებდა აქცენტს, კვლევის ელემენტებს კი სამაგისტრო ნაშრომი და სასწავლო კურსი „სისტემური კვლევები და მდგრადი განვითარება“ მოიცავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დასძინა, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ წარმოადგენდა ტიპურ ნაშრომს, არამედ კვლევითი პროექტი იქნებოდა. პროგრამა ენერგეტიკისა და რესურსების სფეროში პოლიტიკის შემქმნელებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მომზადებას ისახავდა მიზნად, ასევე, საფუძველს შექმნიდა სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როგორ ნაწილდებოდა 2 აკადემიურ საათში სასწავლო კურსების სალექციო და პრაქტიკული კომპონენტები. მისივე თქმით, მიუხედავად თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკისა, 2 აკადემიური საათი ვერ იქნებოდა საკმარისი და სასურველი იქნებოდა თუკი სასწავლო კურსის საათობრივი დატვირთვა გაიზარდებოდა.

პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა ხდებოდა უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ინსტიტუტთან, რომელიც პირდაპირ იღებდა შეკვეთებს სხვადასხვა კომპანიებისგან და სადაც სტუდენტები პრაქტიკულ საქმიანობასაც განახორციელებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა ხსენებული პრაქტიკული კომპონენტის არსებობის საფუძველზე შესაბამის სასწავლო კურსებს საათები დამატებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელი სასწავლო კურსი მოიცავდა კონტრაქტების მართვის საკითხებს. მისივე თქმით, პრაქტიკოსი მენეჯერების დიდი მინუსი იყო დაბალი კომპეტენცია პროექტების მართვაში. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონტრაქტების მართვის საკითხები გარკვეულწილად პროექტების მართვის სასწავლო კურსში იყო გათვალისწინებული. გადამოწმების შედეგად საბჭოს წევრებმა დააზუსტეს, რომ აღნიშნული საკითხები თანამედროვე მენეჯმენტის სასწავლო კურსში იყო ჩაშლილი და კურსი სულ 32 აკადემიურ საათს მოიცავდა, რაც საბჭოს წევრების აზრით არ იყო საკმარისი და დაწესებულებას საათების დამატებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მიეცა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პროგრამის კურსდამთავრებულებს სექტორის საფუძვლიანი ცოდნა ექნებოდათ, თუმცა სასურველი იქნებოდა პროგრამა მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო კურსებითაც გამდიდრებულიყო. წარმომადგენლის თქმით, სექტორთან დაკავშირებული სასწავლო კურსების გამოკლებას არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად, თუმცა მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო კურსების დამატება შესაძლებელი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალური რესურსების და ენერგეტიკის მართვისა და მდგრადი განვითარების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, რამაზ ქურდაძემ წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები:

- რამდენიმე სილაბუსში, ზოგად ნაწილში, წარმოდგენილი იყო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, თუმცა ცალკეულ სალექციო საკითხებთან მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა იყო მითითებული. სასურველი იყო, სილაბუსებში წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც ძირითადი, ასევე, დამატებითი ლიტერატურაც და ამასთანავე, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ცალკეული ლექციების შესაბამისადაც ყოფილიყო წარმოდგენილი, რათა გასაგები ყოფილიყო, ამა თუ იმ სალექციო თემას რომელი სახელმძღვანელო თუ გამოცემა ფარავდა;

- ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნულიყო ისიც, რომ პროგრამაში უმთავრესად ინგლისურენოვანი ლიტერატურა იყო ასახული, რაც, თავის მხრივ, გასაგებიც იყო, ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით სპეციალური ქართული ლიტერატურა მწირი იყო. პროგრამაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის არსებობა გამართლებული იყო იმით, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ინგლისურ ენაში ტესტირება იყო, სადაც მომავალ მაგისტრებს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა მოეთხოვებოდათ. მიუხედავად აღნიშნულისა, რადგან პროგრამის სწავლების ენა ქართული იყო, სასურველი იქნებოდა ქართულენოვანი ლიტერატურის მაქსიმალურად გათვალისწინება, რაც, გარდა იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ ლიტერატურას გაამდიდრებდა და მრავალფეროვანს გახდიდა, დარგის განვითარებასაც ხელს შეუწყობდა;

- სასურველი იყო პროგრამის განმახორციელებელ ქართველ პერსონალსაც, რომელთა სილაბუსებშიც უმთავრესად ინგლისურენოვანი ლიტერატურა იყო მითითებული, ასევე

წარმოედგინათ ინგლისური ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - ცნობა საზღვარგარეთ წაკითხული სალექციო კურსების ანდა ინგლისურენოვან საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის შესახებ;

- პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელს შეადგენდა, შესაბამისად ოთხი სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა პროგრამის ათვისება. პროგრამის კურიკულუმში ასახულია შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრები, თუმცა არ იყო მითითებული თუ რომელ სასწავლო წელს მიეკუთვნებოდა აღნიშნული სემესტრები. შესაბამისად, ერთგვარად გაუგებარი იყო, რომელი სასწავლო კურსი რომელს მოსდევდა და რომელ სემესტრში რამდენი სასწავლო კურსის აღება უწევდა მაგისტრანტს. საგანთა ნაწილს, რასაკვირველია, გააჩნდა წინაპირობა, რაც ერთგვარად არეგულირებდა სწავლების თანმიმდევრობას, თუმცა, სასწავლო პროცესის და კურსების სწავლების თანმიმდევრობის სიზუსტისთვის, უმჯობესი იქნებოდა სემესტრები ერთიდან ოთხამდე თანმიმდევრობით დანომრილიყო, რომელთაგანაც პირველი და მესამე შემოდგომის სემესტრები იქნებოდა, ხოლო მეორე და მეოთხე - გაზაფხულის;

- პროგრამის სახელწოდება იყო „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“, თუმცა, ზოგიერთ შემორანდუმსა და ხელშეკრულებაში პროგრამა მოხსენიებული იყო „ენისა და მეტყველების თერაპიის“ სახელწოდებით. სასურველი იყო, შემორანდუმსა და ხელშეკრულებებში პროგრამის ზუსტი სახელწოდება ყოფილიყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარე პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების პერსპექტივებით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულები ენისა და მეტყველების თერაპიის მიმართულებით დასაქმდებოდნენ და შესაბამისი პრობლემების მქონე პირების ხელშეწყობაზე იმუშავებდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში ჩართულნი იყვნენ უცხოელი პროფესორებიც, შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობასაც ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა წარმოადგენდა. პროგრამაზე აქცენტი საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებებზე კეთდებოდა. პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი, ასევე უცხოელ პროფესორებთან ერთად, ტემპუსის გრანტის მოპოვებაზე მუშაობდა, რაც კარგი საშუალება იქნებოდა პროგრამის გაძლიერებისთვის. პროცესში ჩართულები იყვნენ პროფესორები ისრაელიდან, ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, გრონინგენისა და ზაგრების უნივერსიტეტებიდან.

დაწესებულება ეთანხმებოდა და იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში წარმოდგენილ სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაციას, თუმცა, დამატებით აღნიშნავდა, რომ სასწავლო კურსები არ ეყრდნობოდა ერთ სახელმძღვანელოს, არამედ, შესაბამისი მიმართულებით, მრავალი მონოგრაფია და ნაშრომი არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხი განავრცო და განაცხადა, რომ კურსდამთავრებულთა პირველი დამსაქმებელი თავად ბავშვის განვითარების ინსტიტუტი იქნებოდა. მისივე თქმით, დღესდღეისობით, ინსტიტუტი მომსახურებას 85 ბავშვს უწევდა. ინსტიტუტი ორ - აუტიზმისა და ადრეული განვითარების ცენტრებს აერთიანებდა.

წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში ჩართულები იყვნენ პოტენციური დამსაქმებლებიც, კერძოდ: ნეიროგაბილიტაციის ცენტრი, საავადმყოფოები და სარეაბილიტაციო ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები და განათლების სამინისტრო.

წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამით 24 კრედიტი პრაქტიკისთვის იყო გათვალისწინებული. სტუდენტებს ცოცხალ, რეალურ შემთხვევებსა და სიტუაციებთან ექნებოდათ შეხება. სამაგისტრო ნაშრომში აისახებოდა სტუდენტის კვლევისა და პრაქტიკის კომბინაცია, რის საფუძველზეც სამომავლოდ კურსდამთავრებული სფეროში მუშაობას შეძლებდა.

საბჭოს წევრის, ნანა შათაშვილის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი ნაკადისთვის დაწესებულებამ არ შეზღუდა პროგრამის აპლიკანტები პროგრამაზე შესვლის სპეციფიკური აკადემიური წინაპირობით - პროგრამაზე ჩაბარება ნებისმიერ ბაკალავრის ხარისხის მქონე პიროვნებას შეეძლებოდა, თუმცა, მიღება მხოლოდ სამაგისტრო გამოცდების შედეგებს არ ეფუძნებოდა. აპლიკანტთა მიღება გასაუბრების საფუძველზე მოხდებოდა, რომლის ორი ძირითადი კომპონენტი დარგის ფაქტობრივ დონეზე ცოდნა და მოტივაცია იყო. გასაუბრებით აპლიკანტს უნდა დაედასტურებინა სფეროში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობა, წარმოედგინა რეკომენდაციები და არსებობის შემთხვევაში - შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების დამადასტურებელი სერტიფიკატები. აპლიკანტს უნდა ჰქონოდა სფეროს ნათელი და ადეკვატური აღქმა და გააზრებული უნდა ჰქონოდა თუ რა მიზანს ემსახურებოდა მის მიერ შერჩეული საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ საპასუხოდ განაცხადა, რომ მისთვის ერთგვარად გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა ინჟინრის კვალიფიკაციის მქონე პირს ფსიქოლოგად ემუშავა, ამავდროულად, თუკი პროგრამაზე მიღების წინაპირობას პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის დადასტურება წარმოადგენდა, როგორ შეძლებდა ზემოაღნიშნული პირი პროგრამაზე ჩარიცხვას. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხსენებულ პირს ადრეული განვითარების სპეციალისტად სკოლაში მუშაობა შეეძლებოდა. მისივე თქმით, ბოლო წლების მანძილზე პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტებზე მოთხოვნა საკმაოდ გაიზარდა და ხშირი იყო, როდესაც განსხვავებული აკადემიური კვალიფიკაციის პირები, სათანადო პრაქტიკული გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ სფეროში საქმდებოდნენ. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, აღნიშნული პირი სპეცმასწავლებლად ან სოციალურ მუშაკად დასაქმებულიყო.

ბოლოს, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე, პროგრამაზე 10 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

6-100

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაც ილება განაცხადა საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, დავით გეგეჭკორმა.

- სასურველი იყო გაფართოებულიყო დამსაქმებლებთან მემორანდუმები, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის;

- მიზანშეწონილი იყო ძირითად პროგრამაში ყოფილიყო სალექციო კურსი, რომელიც მოიცავდა დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის საკითხებს. ანალოგიური კურსი აღინიშნებოდა მეორად (Minor) პროგრამაში და სასურველი იყო შესულიყო ძირითადშიც;

- სასწავლო კურსში „დიპლომატიის ისტორია მე-17-20 საუკუნეებში“ საკმაოდ დიდი მოცულობის მასალა იყო. სასურველი იქნებოდა სალექციო კურსი ორ ნაწილად გაყოფილიყო; ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაზუსტებულიყო ლიტერატურა, რომლის მოცულობაც საკმაოდ დიდი იყო და ხშირად მეორდებოდა სხვადასხვა ისტორიკოსის ნაშრომები ერთსა და იმავე მოვლენისა და პოლიტიკური მოღვაწის შესახებ;

- სასწავლო კურსში უსაფრთხოების კვლევები, სასურველი იყო, ცალკე თემის სახით, გამოყოფილიყო ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი გვალიამ საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამა კონცეპტუალურად კარგად იყო გააზრებული და მისი შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედი კვლევითი ინსტიტუტებიც. წარმომადგენლის თქმით, პროგრამის კონცეპცია შემდეგი იყო: გარდა იმისა, რომ სტუდენტი იღებდა ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, ასევე, პროგრამაში ინტეგრირებული მოდულების საშუალებით, სტუდენტს ეძლეოდა საშუალება მიედო აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხების კონტექსტური ცოდნა,

ინტერდისციპლინარულ ჭრილში - ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის სამართლისა თუ კულტურის მიმართულებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით პირველი იყო და უნივერსიტეტი სხვა პროგრამას აღნიშნული მიმართულებით არ ახორციელებდა. დაწესებულება ახორციელებდა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას, თუმცა პრინციპულად შეთანხმდა, რომ აღნიშნული პროგრამა ყოფილიყო ცალკე და დაწესებულებას განეხორციელებინა ახალი საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, თუმცა, არა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული კლასიკური სახით, არამედ კონკრეტული რეგიონების ჭრილში. დაწესებულებამ, მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა პოლიტიკის მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამიდან გაემიჯნა საერთაშორისო ურთიერთობები, შეერწყა დაწესებულებაში მანამდე არსებულ ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამასთან და დაემატებინა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ბლოკი. გიორგი გვალიამ დამატებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებიც სტუდენტების ახალი პროგრამით დაინტერესებას ასახავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ მემორანდუმებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს, ერთგვარად, განსხვავებული მიდგომა გააჩნდა. მისივე თქმით, უნივერსიტეტს ზოგადი სახის მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული სხვადასხვა დაწესებულებასთან, რომლებიც დაწესებულებაში არსებულ თითოეულ პროგრამაზე ვრცელდებოდა და რის გამოც, დაწესებულებამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში მხარეებთან ცალკეული ხელშეკრულებების განმეორებით გაფორმება საჭიროდ არ ჩათვალა. წარმომადგენლის თქმით, პროგრამამ სხვადასხვა სახელმწიფოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან დადებითი გამოცხადი ჰპოვა, კერძოდ, საუბარი ეხებოდა არიზონას უნივერსიტეტსა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი გვალიამ დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში, გარდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა, ფუნქციონირებდა რამდენიმე კვლევითი ცენტრი, მათ შორის, ევროპის შემსწავლელი ცენტრი, ცივი ომის შემსწავლელი ცენტრი, კავკასიის საერთაშორისო სკოლა და ა.შ. რომელთა მოთხოვნებიც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემუშავებისას. მისივე თქმით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ძირითად უნარებს სწორედ აღნიშნულ კვლევით ცენტრებში შეიძენდნენ.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის, გიორგი გვალიას განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია კურსის დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც დიპლომატიური პროტოკოლისა და ეტიკეტის საკითხებს მოიცავდა. მისი თქმით, ანალოგიური შინაარსის კურსი დაწესებულებაში ერთერთ პროგრამაზე უკვე არსებობდა და მისი განხილულ პროგრამაზე გადმოტანა განხორციელდებოდა. წარმომადგენელი შეეხო დიპლომატიის ისტორიის კურსის მოცულობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასაც და აღნიშნა, რომ კურსი, ექსპერტთა რეკომენდაციიდან გამომდინარე, ორ ნაწილად გაიყო. დაწესებულებამ გაითვალისწინა სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც. ბოლოს, გიორგი გვალიას განცხადებით, უსაფრთხოების კვლევების სასწავლო კურსის სილაბუსს დაემატა თავი, რომელიც ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალ სავალდებულო კურსში ერთერთი საკითხი ტერორიზმთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდა დაწესებულება განხილულ პროგრამაზე, ვინაიდან, თავმჯდომარის თქმით, აკადემიური პერსონალის საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სულ 60-70 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა, ვინაიდან პროგრამა ახალი იყო და მისი გადატვირთვა, ამჯერად, სასურველი არ იქნებოდა. მისივე თქმით, გასათვალისწინებელი იყო ფაქტიც, რომ დაწესებულება არ ახორციელებდა აღნიშნული პროგრამის minor ვერსიას, ვინაიდან შეთანხმებულ იქნა, რომ პროგრამის პირველი საპილოტე წელი მაქსიმალურად კონცენტრირებული ყოფილიყო.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი პროგრამაზე 6 კრედიტიანი კურსების ფარგლებში საათების გადანაწილების საკითხით დაინტერესდა. გიორგი გვალიას განცხადებით, აღნიშნულ საკითხს ხშირად მოჰყვებოდა განხილვები, ვინაიდან საათობრივი დატვირთვისა და კრედიტების გადანაწილების მრავალგვარი მოდელი არსებობდა. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება ემხრობოდა მოდელს, რომელიც მაქსიმალურად აიოლებდა მენეჯმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების - ევროპა და ახლო აღმოსავლეთის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-105

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტი

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის დოქტორი

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 180

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითააცილება განაცხადა საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, მარინა გედევანიშვილმა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და შენიშვნები:

- სასურველი იყო, სამომავლოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებამდე, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს (ან თუნდაც უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს) ჩატარებინათ დასაქმების ბაზრის კვლევა, რაც ხელს შეუწყობდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, რომელთა კურსდამთავრებულებზეც დღეს დიდი მოთხოვნაა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

- თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ის იყო, რომ დოქტორანტს სწავლის პერიოდშივე ჩამოეყალიბებოდა უმაღლესი სკოლის პედაგოგისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ვფიქრობთ, სასურველი იყო, მას, თუნდაც 5 კრედიტის ოდენობით, „პროფესორის ასისტენტობის“ კურსი გაეცლო;

- აუცილებელი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედი დებულება, საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ნაწილში, „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების მოქმედი წესი“ საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ნაწილში და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სქემა, დროულად მოსულიყო შესაბამისობაში;

- სასურველი იყო, როგორც პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე, ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, მოყვანილი ყოფილიყო შესაბამისობაში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის მოთხოვნებთან;

- ვინაიდან კოლოქციუმებზე წარსადგენი ნაშრომი იყო დისერტაციის ნაწილი, სასურველი იყო კოლოქციუმებს ჰქონდეთ წინაპირობები, კერძოდ: კოლოქციუმი -1 - კოლოქციუმი-2-ის, ხოლო კოლოქციუმი-2 კოლოქციუმი-3-ის წინაპირობა ყოფილიყო.

- ასევე იყო თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაშიც, კერძოდ, სასურველი იყო თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა-2-ის წინაპირობა თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა-1, ხოლო თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა-3-ის წინაპირობა თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა-2 ყოფილიყო.

- სასურველი იყო შუალედური გამოცდა მხოლოდ ტესტირებით არ ჩატარებულიყო, განსაკუთრებით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

- ექსპერტთა აზრით, შუალედური გამოცდის სხვადასხვა ფორმით ჩაბარების უფლება დოქტორანტებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ, ვინაიდან ეს თავიდანვე არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა მათ;

- გაურკვევლობის აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელი იყო დროულად ჩასწორებულიყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში (მე-12 მუხლი, სადისერტაციო ნაშრომის შეფასება) არსებული ორი განსხვავებული ჩანაწერი, დისერტაციის დაცვის შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით;

- აღსანიშნავი იყო, რომ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი სავალდებულო იყო. რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, ისინი პროგრამაში გათვალისწინებული არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დოქტორანტს საშუალება არ ჰქონდა თავისი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით განესაზღვრა საკუთარი პროფილი.

- სასურველი იყო, სასწავლო კომპონენტის 60 კრედიტის ფარგლებში, პროგრამაში, თუნდაც 5 კრედიტის ოდენობით მაინც ყოფილიყო გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, რათა დოქტორანტს საშუალება ჰქონოდა თავისი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს საკუთარი პროფილი.

- ვინაიდან სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის გარდა პედაგოგიური საქმიანობის უფლებაც ჰქონდა, სასურველი იქნებოდა თუ არჩევითი სასწავლო კურსების მოდული დაკომპლექტდებოდა ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: „პედაგოგიკა“, „განათლების მენეჯმენტი“, „კურიკულუმისა და სილაბუსის შედგენის მეთოდიკა“, „განათლების სამართალი“ და ა.შ.

- სასურველი იყო, სამომავლოდ, პროგრამის განმახორციელებაში ჩართულიყვნენ უშუალოდ მენეჯმენტის დარგის პროფესორებიც;

- ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანი იყო, იმისათვის, რომ დოქტორანტს (არა მხოლოდ უცხოელს) უპრობლემოდ შესძლებოდა პროგრამაზე სწავლა და ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობა, სადოქტორო დისერტაციის ინგლისურ ენაზე მომზადება და დაცვა, სასურველი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრული ყოფილიყო ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა მაინც.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ცენტრში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოქტორანტურის დებულება და სამეცნიერო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, რომელთა თანახმადაც, კვლევითი კომპონენტი შედგებოდა 2

პროსპექტუისგან, რომლებიც არ ყოფილა გათვალისწინებული განხილულ საგანმანათლებლო პროგრამაში. გარდა აღნიშნულისა, დებულების თანახმად პროსპექტუი-1 მოიცავდა 10 აკადემიურ კრედიტს, ხოლო პროსპექტუი-2 – 20-ს, თუმცა, სამეცნიერო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის მიხედვით პროსპექტუი-1 და პროსპექტუი-2 15-15 აკადემიურ კრედიტს შეადგენდა. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დასრულების შემდეგ, დაწესებულების წარმომადგენელმა მას ელექტრონული ფოსტით მიაწოდა აკადემიური საბჭოს მიერ ხელახლა დამტკიცებული, განახლებული დოკუმენტები, რომლებიც ზემოხსენებულ საკითხში შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საგანმანათლებლო პროგრამასთან.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაში სულ 3 აკადემიური კადრი იყო ჩართული, რომელთაგან 2 ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს ფლობდა, თუმცა ტექნოლოგიური მენეჯმენტის მიმართულებით, მათ სასწავლო კურსების წაკითხვის გამოცდილება არ ჰქონდათ. ექსპერტმა ჯგუფის მითითებით, აუცილებელი იყო პროგრამაში მენეჯმენტის სპეციალისტი ჩართულიყო, რადგან პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის დოქტორის კვალიფიკაცია ენიჭებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა ის, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს, გადიოდა თუ არა შედეგზე, შემდგომად თუ არა დოქტორანტები ახალი ცოდნის შექმნას და შემდგომად თუ არა კურსდამთავრებული სფეროში ახალი სიტყვის თქმას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტმა ჯგუფს ხელი არ მიუწვდებოდა პროგრამის განმახორციელებელთა ნაშრომებზე, თუმცა ექსპერტებმა შემდგომ ენახათ მათი ნაშრომები მენეჯმენტის მიმართულებით. ექსპერტის თქმით, პროგრამის განმახორციელებლებს შეეძლოთ დოქტორანტის მომზადება, თუმცა, აუცილებელი იყო პროგრამაში მენეჯმენტის სპეციალისტებიც ჩართულიყვნენ. ექსპერტის თქმით, სტანდარტი არ ამბობდა თუ რამდენი პროფესორი უნდა ყოფილიყო პროგრამაში ჩართული, თუმცა პროგრამაზე მაგალითად 10 დოქტორანტის მიღების შემთხვევაში გამორიცხული იქნებოდა, რომ 3 პროფესორს შესძლებოდა მათი მომზადება.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას მსჯელობა არაერთხელ შეეხო კვალიფიკაციას, რომელსაც პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებდა. მისივე თქმით, კვალიფიკაციათა ჩარჩოში ბიზნესის მიმართულებით ბევრი სპეციალობა იყო გათვალისწინებული, თუმცა ინოვაციათა მენეჯმენტი პირდაპირ არსად ყოფილა მითითებული, შესაბამისად, პროგრამა მენეჯმენტზე იყო ორიენტირებული და კვალიფიკაციას მენეჯმენტის მიმართულებით ანიჭებდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის დამატება. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამასაც ახორციელებდა, გააჩნდა კავშირები ბალტიისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან და გამოთქვამდნენ სურვილს დოქტორანტების გაცვლის პროცესში ჩართულიყვნენ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება ასევე ანალოგიურ, ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას ახორციელებდა და ჩართული იყო გაცვლით პროგრამაში სომხეთთან. პროგრამაზე 2 სომხეთის მოქალაქე სწავლობდა, რომლებიც ასევე გამოთქვამდნენ აღნიშნული სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგებების სურვილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ აღნიშნული 3 პროფესორი სასწავლო კომპონენტს უძღვებოდა, ხოლო კვლევით კომპონენტში სხვა პირები

6.105

გ.გ.

იყვნენ ჩართულები, რომლებიც დოქტორანტების პოტენციური ხელმძღვანელებიც იყვნენ. უნივერსიტეტის წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში 14-15 ეკონომიკის სპეციალისტი იყო ჩართული, რომლებიც მენეჯმენტის საკითხებში საკმაოდ ჩახედულები იყვნენ. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტს ინჟინრების ძლიერი ჯგუფი ჰყავდა, რომელთაც რომლებიც ასევე იყვნენ პროგრამაში ჩართულები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ცენტრისთვის მიწოდებულ კორესპონდენციებში აღნიშნულ პირებზე ინფორმაცია არ მოიპოვებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ცენტრის მიერ აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნილი არ ყოფილა. ექსპერტმა საბჭოსა და დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლის მიერ ხსენებული პროგრამაში დამატებით ჩართული პირების შესახებ ინფორმაციას პირველად ისმენდა. მისივე თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია პროგრამაში შესაბამისი კომპეტენციების პირთა ჩართვის შესახებ და თუკი დაწესებულების მიერ ხსენებული პირები აღნიშნულ სპეციალისტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ვიზიტის შემდგომ ჩაერთნენ საგანმანათლებლო პროგრამაში, საკითხი გასაგები იყო. თუმცა, ვიზიტზე აღნიშნული საკითხის წამოჭრისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების მხრიდან მიიღო პასუხი, რომ 4 დოქტორანტისთვის 2 პროფესორი საკმარისი იქნებოდა, ამასთან, დაწესებულება თანახმა იყო პროგრამაში მენეჯმენტის სპეციალისტები ჩაერთო.

საბჭოს თავმჯდომარე პროგრამაზე მიღების ინგლისური ენის ცოდნის დონის წინაპირობის არსებობით დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას პროგრამაზე მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენცია დადგენილი. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე, მიჩნეულ იქნა, რომ პროგრამაზე ჩაბარების მსურველებს თავისთავად ექნებოდათ ინგლისური ენის სათანადო დონის კომპეტენცია და პროგრამაზე მიღების წინაპირობად გასაუბრების ეტაპის დამტკიცებასაც არ გეგმავდნენ. თუმცა, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, დაწესებულებაში აბარებდნენ სომხეთის მოქალაქეები, რომლებიც მიუხედავად იმისა რომ ინგლისურ ენას გარკვეულ დონეზე ფლობდნენ, წინარე განათლება ინგლისურ ენაზე არ მიუღიათ, რის გამოც სამომავლოდ დაწესებულება ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად ენის სათანადო დონეზე ფლობის მოთხოვნას განიხილავდა.

საბჭოს წევრი, რევაზ სოლომონია დაინტერესდა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებიდან ჰქონდა თუ არა რომელიმეს დისერტაცია ინგლისურ ენაზე დაცული. პასუხად, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისურ ენაზე დისერტაცია 2 პირს ჰქონდა დაცული, მათ შორის ერთ-ერთს - გერმანიაში.

საბჭოს წევრმა, ნანა შათაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მათ მიერ ხსენებული პირების პროგრამაში ჩართვა აუცილებლობას წარმოადგენდა. რევაზ სოლომონიამ დამატებით აღნიშნა, რომ მისი აზრით, სასწავლო კომპონენტის სტრუქტურასა და შინაარსზე მეტად მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებასა და კვლევაში ჩართული პირები და მათი კვალიფიკაცია იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუკი დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და პროგრამაში მენეჯმენტის სპეციალისტები ჩართო, სასურველი იქნებოდა, დადასტურების მიზნით მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები მაინც ყოფილიყო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი.

14:55 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განმარტა, რომ არსებითი ხასიათის შენიშვნა გახლდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის შეუსაბამობა პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან, პროგრამაზე მიღების წინაპირობები, კერძოდ - მოთხოვნილი ინგლისური ენის ცოდნის დონისა და პოტენციური დოქტორანტის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირებული პრობლემები. საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ მისი აზრით, მსგავსი ვიწრო პროფილის სადოქტორო პროგრამის არსებობა არ იყო მიზანშეწონილი და მისთვის აღნიშნული პროგრამისამდინ დაწესებულების ინტერესი იყო ბუნდოვანი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: მაგდა მალრაძემ და ლევან გორდეზიანმა

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

15:15 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ მაგდა მალრაძემ.

აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათელა სახოკიამ.

6-10

6. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: თავდაცვა და უსაფრთხოება

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაკალავრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, სოზონ ეგუტიძემ. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და რეკომენდაციები:

- სასურველი იყო საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილი კურსის სახელწოდება „პოლიტოლოგიის საფუძვლები“ შეცვლილიყო სახელწოდებით „პოლიტიკის მეცნიერების საფუძვლები“;

- სასურველი იყო საბაკალავრო პროგრამაში ქართული ლიტერატურის პარალელურად უფრო აქტიურად ყოფილიყო გამოყენებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები.

ექსპერტმა პროგრამის აქტუალობას გაუსვა ხაზი. მისივე თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულთათვის ძირითადი დამსაქმებელი თავდაცვის სამინისტრო იქნებოდა და კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ სხვადასხვა ქვედანაყოფში შეძლებდნენ ემსახურათ. ექსპერტის თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულს, ხარისხთან ერთად, ლეიტენანტის წოდება მიენიჭებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მთავარ დამკვეთს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენდა და პოტენციური დამსაქმებელიც თავად იყო. კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებოდათ იმ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც თავდაცვის მიმართულებით კვლევებში იყვნენ ჩართულები. კურსდამთავრებულებს სამოქალაქო სფეროში საქმიანობაც შეეძლებოდათ, რისი ალბათობაც, კარიერული წინსვლის შესაძლებლობისა და ანაზღაურების გამო, ნაკლები უნდა ყოფილიყო.

სხდომის თავმჯდომარე, ნათელა სახოკია, პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობით დაინტერესდა. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება გენშტაბის დაკვეთის მიხედვით მოქმედებდა. ამ ეტაპზე მისაღები კონტინგენტის სასურველი ოდენობა 30-ს შეადგენდა. თავმჯდომარის მომდევნო კითხვაზე პასუხად, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ

დაწესებულება სტუდენტებს საკუთარი საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფდა - სტუდენტები მთელი კვირის განმავლობაში აკადემიის კამპუსში რჩებოდნენ და მხოლოდ შაბათ-კვირას შეეძლოთ შინ დაბრუნება. სტუდენტები სამინისტროს მიერვე უზრუნველყოფილნი იყვნენ კვებით და ყველა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ატრიბუტით.

საბჭოს წევრის, რევაზ სოლომონიას კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტების მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ხდებოდა, თუმცა გამოცდებამდე შემოქმედებითი ტურიც ეწყობოდა. დაწესებულება უზრუნველყოფდა სტუდენტების ფიზიკურ მომზადებასა და სამედიცინო გამოკვლევასაც. წარმომადგენელმა ბოლოს აღნიშნა, რომ აკადემიაში ხშირად აბარებდნენ გოგონებიც და მათი წარმატების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-105

7. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: თავდაცვის ანალიზი

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თავდაცვის ანალიზის მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, სოზონ ეგუტიძემ. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და რეკომენდაცია. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სასურველი იყო სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო მოლაპარაკებების შესახებ კურსის სწავლება.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა გადიოდა შედეგებზე და აკმაყოფილებდა დადგენილ სტანდარტებს. პროგრამა თავდაცვის სამინისტროს მიერ იყო ინიცირებული. კურსდამთავრებულებს გარდა სამხედროსი, სამოქალაქო სექტორში დასაქმებაც შეეძლებოდათ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პირველ ეტაპზე, პროგრამაში მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს და გენშტაბის სამოქალაქო სტატუსის თანამშრომლები ჩაერთვებოდნენ. პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან ერთად ინგლისური ან სხვა ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა შეადგენდა, თუმცა, ამ ეტაპზე, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურიდან გამომდინარე, დაწესებულება მხოლოდ ინგლისური ენის მოთხოვნას აწესებდა. სამაგისტრო პროგრამის დასრულება ვიცეპოლკოვნიკებისთვის პოლკოვნიკის წოდების მინიჭების ერთერთ წინაპირობას წარმოადგენდა. წარმომადგენელმა დასძინა, რომ წინა საკითხით განხილული საბაკალავრო პროგრამისგან განსხვავებით, სამაგისტრო პროგრამა მოქმედი და აკრედიტებული იყო, თუმცა ჯერჯერობით პროგრამაზე სტუდენტების მიღება არ განხორციელებულა. წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში ჩართულები იყვნენ როგორც მუდმივი აკადემიური კადრები, ასევე სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული პროფესორებიც.

საბჭოზე ისაუბრა დაწესებულების ამერიკელმა პარტნიორმა და წარმომადგენელმაც. მისი თქმით, იგი ერთერთი კონტრაქტორი იყო და სამხედრო ფონდების მოზიდვით იყო

დაკავებული. გარდა აღნიშნულისა, ამერიკელი პარტნიორი დაწესებულებას ამერიკის შერეობული შტატების სამხედრო აკადემიიდან პროფესორების მოზიდვაშიც უწევდა დახმარებას. იგი თავად იყო ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში და საბაკალავრო საფეხურზე სამხედრო ისტორიის 2 სასწავლო კურსს უძღვებოდა. პარტნიორის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით, თავდაცვის აკადემია ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც აღნიშნულ აკადემიურ პროგრამას ახორციელებდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, გიორგი გვალამი. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და რეკომენდაციები:

- დარგობრივი კურსების აღწერაში ხაზგასმული იყო, რომ კურსი სტუდენტებს საფუძვლიანად შეასწავლიდა კურსით გათვალისწინებულ საკითხებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებად მიღწევად მიზანს წარმოადგენდა. თუმცა, ამავედროულად, აღსანიშნავი იყო, რომ სილაბუსებში გაწერილი შინაარსი, შესაბამისობაში იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი კვალიფიკაციის აღმწერის მოთხოვნებთან. აღნიშნულის გამო, სასურველი იყო, რომ სიტყვა „საფუძვლიანი“ შეცვლილიყო სიტყვებით „ფართო“ ან „ზოგადი“;

- დაწესებულებაში ხელმისაწვდომი იყო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა. ამავედროულად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასურველი იყო სფეროსთვის რელევანტური დამატებითი ლიტერატურის შეძენა მრავალფეროვანი სახელმძღვანელოების არსებობისთვის. ასევე, სასურველი იყო ბიბლიოთეკის განახლება თანამედროვე უცხოური ლიტერატურით, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ პროგრამით გათვალისწინებული იყო როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი ინგლისური ენის სწავლება და სტუდენტს შეეძლებოდა ლიტერატურის ათვისება;

- ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, გადახედილიყო ზოგიერთი დარგობრივი სასწავლო კურსების სწავლების მეთოდები, კურსის სპეციფიკურობის გათვალისწინებით. საჭირო იყო სწავლების მეთოდების დაკონკრეტება და დივერსიფიკაცია, რათა მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული კონკრეტულ კომპეტენციებზე გასვლის შესაძლებლობა. მაგალითისთვის, სილაბუსში „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ ცოდნის

პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციებზე გასვლისთვის, სასურველი იყო, რომ შეფასების კომპონენტები განსაზღვრული ყოფილიყო კურსის მოთხოვნებიდან, საჭიროებებიდან და სწავლის მეთოდებიდან გამომდინარე; რაც შეეხება სილაბუსებში გაწერილ პრობლემებზე დაფუძნებულ მეთოდს, სასურველი იყო, რომ შეფასების სისტემა სტუდენტისთვის ცალსახად ყოფილიყო განმარტებული თუ როგორ ხორციელდებოდა ამ მეთოდით სწავლება;

- კურსებით გათვალისწინებული შეფასების მეთოდები და კურსის მიზნები ან კურსის შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთთან თანხვედრაში არ ყოფილა. მაგალითად, სილაბუსში მითითებული იყო, რომ სტუდენტი შეძლებდა პოლიტიკის ანგარიშის მომზადებას, თუმცა შეფასების სისტემა ეყრდნობოდა მხოლოდ ტესტურ გამოცდებს, რაც ადეკვატურად ვერ უზრუნველყოფდა პოლიტიკის ანგარიშის (Policy Paper) მომზადებისთვის საჭირო უნარების განვითარებას. შესაბამისად, რეკომენდირებული იყო, რომ აღნიშნული კომპონენტები ერთმანეთთან თანხვედრაში მოსულიყო;

- სასურველი იყო კურსის „პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი“ სახელწოდება შეცვლილიყო შემდეგი რედაქციით: „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“. ასევე, სასურველი იყო, კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი წყაროები“ სახელწოდება შეცვლილიყო შემდეგი რედაქციით: „პოლიტიკის ფილოსოფია“. სასურველი იყო, კურსის „რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში“ სახელწოდება შეცვლილიყო შემდეგი რედაქციით: „რელიგიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში“. ასევე, ქართულენოვან წყაროებთან ერთად, სასურველი იყო, მომხდარიყო ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებაც;

- სასურველი იყო საერთაშორისო პოლიტიკის თემატიკის ფარგლებში ერთმანეთისგან გამიჯნულიყო „პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი“ და პროგრამის სხვა ის კურსები, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების შესავალს ან თეორიებს ეხებოდა. ექსპერტთა რეკომენდაციით, სასურველი იყო გადახედილიყო კურსების „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, „ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა“ და „რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ თემატიკა და მიზნები და მოსულიყო თავსებადობაში სწავლის შედეგებთან;

- სასწავლო კურსის „პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემების“ სათაურში საუბარი იყო პოსტსაბჭოთა სივრცის პრობლემებზე, რეალურად კი კურსით გათვალისწინებული თემებიდან მხოლოდ ერთი, ბოლო ლექცია ეთმობოდა პოსტსაბჭოთა პერიოდს, დანარჩენი კი - საბჭოთა კავშირის ისტორიას. ასევე, რეკომენდირებული იყო ლიტერატურის ცვლილება. პროგრამაში წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური ენა 1“, რომლის ფარგლებშიც სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იყო რუსულენოვანი ტექსტი. სასურველი იყო აღნიშნული წიგნი ჩანაცვლებულიყო ან გადატანილიყო დამატებითი ლიტერატურის ნუსხაში ან დაზუსტებულიყო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები რუსული ენის ფლობის დონესთან მიმართებაში;

- პროგრამით გათვალისწინებული იყო კურსი სახელწოდებით „საზოგადოებრივი ურთიერთობები ბიზნესში“. პროგრამის მიზნების გათვალისწინებით, სასურველი იყო, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ყოფილიყო არა მხოლოდ ბიზნესში საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, არამედ ზოგადად საზოგადოებრივ ურთიერთობებზე კონცენტრირებული კურსი. რეკომენდირებული იყო, რომ პროგრამას სავალდებულო კურსის სტატუსით დამატებოდა კურსი პოლიტიკის მეცნიერებების კვლევის მეთოდების შესახებ.

ექსპერტის, გიორგი გვალის განცხადებით, არსებული მდგომარეობით, შესაძლებელი იყო პროგრამის განხორციელება, თუმცა რეკომენდაციების გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარმომადგენელმა დაწესებულების მიერ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია, სხდომის თავმჯდომარემ, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ მისი აზრით, სასწავლო კურსების სახელწოდებების შერჩევა გემოვნების საკითხი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა უზრუნველყოფილი იყო სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურით, თუმცა საჭირო იყო ბიბლიოთეკის გამრავალფეროვნება. ასევე, დარგობრივი კურსების სწავლების მეთოდებში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები; შეიცვალა პოლიტიკის ზოგადი კურსი, ასევე, პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა კურსის ხელმძღვანელის პოზიცია - მისი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემების შესწავლისას პოსტსაბჭოთა სივრცის წარმოშობის საკითხები და საბჭოთა კავშირის ისტორია არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო; თუმცა, ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინება მაინც მოხდა და კურსის შინაარსში ცვლილებები იქნა შეტანილი. წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამის ფარგლებში საზოგადოებასთან ურთიერთობების (Public Relations) ზოგადი კურსის სწავლება არ ჰქონიათ თავდაპირველად გათვალისწინებული, რასაც პროგრამის ხელმძღვანელიც ეთანხმებოდა, თუმცა სექტემბრისთვის აღნიშნული ცვლილების შეტანაც შესაძლებელი იქნებოდა. ასევე, წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელი იყო ეკონომიკის პრინციპების ორი სასწავლო კურსის გაერთიანება, რის შედეგადაც პოლიტიკური მეცნიერებების კურსისთვის კრედიტების რაოდენობა გამოთავისუფლდებოდა.

ექსპერტმა, გიორგი გვალიამ საბჭოს განუცხადა, რომ ვერ გაიზიარებდა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემების სასწავლო კურსის ხელმძღვანელის პოზიციას, ვინაიდან სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, თემების ჩამონათვალში მხოლოდ ერთი თემა ეხებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეს, ასევე, სასწავლო ლიტერატურაც მომგვლებული იყო. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით იყო, უმჯობესი იქნებოდა სტუდენტებს ზოგადად საზოგადოებრივი ურთიერთობები ესწავლათ და არა საზოგადოებრივი ურთიერთობები ბიზნესში.

საბჭოს წევრი, რევაზ სოლომონია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული კადრების რაოდენობით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პერსონალის მოცულობა 15-ს შეადგენდა, თუმცა მათი დიდი ნაწილი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც მოღვაწეობდა, რის უფლებასაც დაწესებულება მათ ვერ შეუზღუდავდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის ხელმძღვანელს ერთ-ერთ საელჩოში ელჩის პოზიციაც ეკავა - აღნიშნულის გამო, ხსენებული პირის საგანმანათლებლო საქმიანობაში სრულფასოვან ჩართულობასთან დაკავშირებით საბჭომ სპეპტიკური განწყობა გამოავლინა.

საბჭოს წევრების კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დასაწყისისთვის პროგრამაზე 15-20 სტუდენტის მიღება იგეგმებოდა. სწავლის საფასური კი 2250 ლარს შეადგენდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ სოლომონიამ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, როგორი იყო ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შანსები 2 და 3 საფეხურიან დაწესებულებებთან კონკურენციაში. პასუხად წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება საკმაოდ მცირე კონტინგენტს იღებდა და საკუთარი ნიშა გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა რევაზ სოლომონიამ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6.106

9. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობები

განათლების საფეხური: მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, დალი ოსეფაშვილმა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და რეკომენდაციები:

- პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი - ორმაგი დიპლომის შეთავაზება კურსდამთავრებულთათვის. მესამე სემესტრით გათვალისწინებული პრაქტიკული კლასების გავლა სტუდენტებს ევალუოდან პარტნიორ დაწესებულებაში - საფრანგეთის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლაში. თუმცა, სასურველი იყო, გარკვეული პერიოდულობით მომხდარიყო ფრანგი კოლეგების მოწვევაც და სტუდენტებისთვის ინტენსიური კურსების შეთავაზებაც, განსაკუთრებით საზოგადოებასთან ურთიერთობების თვალსაზრისით;

- სილაბუსების ანალიზის შედეგად დგინდებოდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო მასალა წარმოადგენდა უახლეს ბეჭდურ და ელექტრონულ გამოცემებსა და ონლაინ რესურსებს. სასურველი იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალსა და ადმინისტრაციას მუდმივად ეზრუნა უახლესი ლიტერატურით ბიბლიოთეკისა და სასწავლო კურსების განახლებაზე და დამატებითი ლიტერატურის შეთავაზებაზე;

- პროგრამით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო კურსი „სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ ყველა პროგრამის მაგისტრანტს სთავაზობდა იმ ზოგად კომპეტენციებს, რაც აუცილებელი იყო სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. სასურველი იყო, რომ დარგობრივი კომპეტენციების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის, პროგრამაში ცალკე დისციპლინად წაკითხულიყო „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევის მეთოდების“ კურსი;

- ზოგიერთ სასწავლო კურსში ხდებოდა ცალკეული თეორიების შესწავლა, თუმცა, დარგობრივი კომპეტენციების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის, სასურველი იყო, რომ პროგრამაში შეთავაზებული ყოფილიყო „მასობრივი კომუნიკაციების თეორიების“ კურსიც;

- პროგრამით გათვალისწინებული იყო როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი კურსების საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი არჩევანი. თუმცა, პროგრამის სტრუქტურის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ ეტაპზე არჩევითი ბლოკიდან მხოლოდ 9 კრედიტის აღება იყო შესაძლებელი. სასურველი იყო, რომ სავალდებულო კომპონენტის შემცირების ხარჯზე, გაზრდილიყო არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტები;

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო არაერთი მაღალკვალიფიციური მოწვეული პირი (მათ შორის, პოტენციური დამსაქმებლები, პრაქტიკოსები). მნიშვნელოვანი იყო, რომ ადმინისტრაციის მხრიდან გაგრძელებულიყო მუშაობა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვასა და ასევე, არსებული კადრების შენარჩუნების თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით. მისივე თქმით, დაწესებულებას მემორანდუმში ჰქონდა გაფორმებული პარიზის ჟურნალიზმის უმაღლეს სკოლასთან, ასევე, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ 12 სახელმწიფოსთან. წარმომადგენლის განცხადებით, ცხადი იყო, პროგრამა ითვალისწინებდა ფრანგი ლექტორების სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობაზე მოწვევას. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტის პოზიციას მედიის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის დამატების თაობაზე - პროგრამაზე უკვე არსებობდა მედიის ანალიზის სასწავლო კურსი, რომელთანაც კვლევის მეთოდების ინტეგრირება იქნებოდა შესაძლებელი. კვლევის თეორიულ ნაწილს რაც შეეხება, აღნიშნული სფეროს საკითხები სხვადასხვა სასწავლო კურსში იყო გაბნეული. ასევე, მასკომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის თეორიების კურსისთვის პროგრამაზე გამოთავისუფლდა 3 კრედიტი, რაც შეეხება არჩევით ბლოკს, ბლოკსემინარის შემცირების ხარჯზე, მას კიდევ ერთი სასწავლო კურსი დაემატებოდა.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა პროგრამის ძლიერი მხარეების შესახებ და ხაზი გაუსვა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. ექსპერტის თქმით, პროგრამის სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ გაეარათ სტაჟირება საფრანგეთში, ასევე, ეცნობოდნენ საფრანგეთის კულტურასა და ცივილიზაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

5.16

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-108

10. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის დოქტორი

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, სერგო ქელიძემ. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები და რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსი „სამეცნიერო კვლევის მეთოდები და დისერტაციის არქიტექტონიკა“ წარმომადგენდა ინტეგრირებულ დისციპლინას, რომელიც მოიცავდა საკუთრივ კვლევის რაოდენობრივ და სოციოლოგიურ მეთოდებს, ასევე, დისერტაციის არქიტექტონიკას. აღნიშნულ კურსს უძღვებოდა სამი პროფესორი. კურსის სავალდებულო ლიტერატურა, ექსპერტების აზრით გადახედვას საჭიროებდა. მას უნდა დამატებოდა რაოდენობრივ და სოციოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებული წყაროები, რომლებიც სტუდენტებს მისცემდა საშუალებას სიღრმისეულად შეესწავლათ აღნიშნული საკითხები;

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველი იყო კვლევის მეთოდები ცალკე სასწავლო კურსად გამოყოფილიყო, ხოლო რაც შეეხებოდა დისერტაციის არქიტექტონიკას, რომელიც ძირითადად დისერტაციის სტილისტიკას, სტრუქტურას, უცხო ენაზე კვლევითი ნაშრომის დაწერის სამეცნიერო სტილს ასწავლიდა, მისი სწავლება დამოკიდებლად განხორციელებულიყო;

- პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო სასწავლო კურსი „მენეჯმენტი - ხელოვნება, პრაქტიკა და რეალობა“. აღნიშნული კურსი ძირითადად მენეჯმენტის თეორიებსა და მოდელებს ასწავლიდა. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნებოდა თუკი შეთავაზებული იქნებოდა სტრატეგიული მენეჯმენტის ინტეგრირებული კურსი, რომელშიც სტრატეგიული მენეჯმენტის თეორიებთან ერთად, ასევე განხილული იქნებოდა ფინანსების, მარკეტინგის და ლიდერობის ძირითადი მოდელები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ყველა რეკომენდაციას ეთანხმებოდა, მათ შორის, ერთს სრულად იზიარებდა, მისივე თქმით, სასწავლო

6.108

2.2.

ლიტერატურა დაწესებულებისთვის უკვე მიწოდებული იყო, უბრალოდ, სასწავლო კურსების სილაბუსებში არ იყო ასახული. კვლევის მეთოდოკასა და დისერტაციის არქიტექტონიკასთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აღნიშნული საკითხების განცალკევებულად სწავლების გამოცდილება უკვე ჰქონდა, თუმცა, საკითხების ერთმანეთთან მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, მათი ერთ კურსად გაერთიანება არჩია. მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულება კიდევ ერთხელ განიხილა აღნიშნულ საკითხს და აზრს დოქტორანტებსაც დაეკითხებოდა. მენეჯმენტთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან შესაძლოა პროგრამაზე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ჩაებადნენ, დაწესებულებამ მენეჯმენტის ზოგადი კურსის შეთავაზება გადაწყვიტა, სტრატეგიულ მენეჯმენტზე მეტი აქცენტირებით.

საბჭოს წევრი, ნანა შათაშვილი სადისერტაციო მოთხოვნებით დაინტერესდა. როგორც ჩანდა, ხელმძღვანელის დახასიათება ერთერთი პირობა იყო და თემებიც იყო განსაზღვრული. წარმომადგენლის თქმით, ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების დისერტაციის დებულებით იყო განსაზღვრული. ერთერთი მოთხოვნით, დოქტორანტი ვალდებული იყო მონაწილეობა უნდა მიეღო კონფერენციებში საზღვარგარეთ, რასაც დაწესებულება თავად აფინანსებდა. ასევე, დოქტორანტს, რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, მინიმუმ ორი სტატიის გამოყვეყნება ევალებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის განხორციელებაში 15 ადგილობრივი და 3 მოწვეული კადრი იყო ჩართული. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას მემორანდუმები ჰქონდა გაფორმებული პოსტდამისა და სორბონის უნივერსიტეტებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა ნათელა სახოკიამ.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-106

11. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ არსებული მდგომარეობით, პროგრამას შეეძლო ფუნქციონირება, დასახული მოზნების მიღწევა და შედეგებზე გასვლა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის დასკვნაში დაფიქსირებული ერთადერთი რეკომენდაციის მიხედვით, სასურველი იყო თავისუფალი კომპონენტების მოდულიდან ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის (მაგალითად, „მარკეტინგული კვლევები“, „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“, „ოპერაციათა მენეჯმენტი“) სავალდებულო დარგობრივი დისციპლინების მოდულში გადანაცვლებულიყო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას ქართულ ენაზეც. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება ახორციელებდა ბიზნესის ადმინისტრირების ზოგად, ქართულენოვან პროგრამას, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს მენეჯმენტის, ფინანსებისა და მარკეტინგის მიმართულებით. დაწესებულება ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით პროგრამებს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზეც ახორციელებდა. პროგრამის შემუშავების პროცესში დაწესებულებამ ჩაატარა ბაზრის კვლევა, სტუდენტების მობილობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა ინდოეთთან, აზერბაიჯანთან, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უცხოელი სტუდენტებისთვის აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის მთავარ მოტივატორს ხშირად არა სწავლის საფასურის სიმცირე, არამედ ადგილობრივი (კავკასიის რეგიონის) ეკონომიკით დაინტერესება და ამ კუთხით, ბაზარზე, სამომავლოდ საკუთარი კონკურენტუნარიანობის პერსპექტივის ხედვა წარმოადგენდა

5-105

2.2.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ ეტაპზე აღნიშნულ პროგრამაზე 15 ადამიანის მიღება იგეგმებოდა. სწავლის საფასური 6000 ლარს შეადგენდა. წარმომადგენლის თქმით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო ინგლისურენოვანი პროფესორი, რომელთა ნაწილს განათლება საზღვარგარეთ ჰქონდა მიღებული. დაწესებულების აკადემიური პერსონალი 8 კადრით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც მხოლოდ დარგობრივ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ, ხოლო მოწვეული პროფესორების რიცხვი 19-ს შეადგენდა. პროგრამას გააჩნდა საერთო კურსებიც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საერთო ბაზისის მქონე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთანაც.

საბჭოს წევრმა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ვასილ კიკუტაძეს მიმართა და მიუთითა, შემდგომში მსგავს სიტუაციაში აცილება გაეკეთებინა. ვასილ კიკუტაძემ მითითების დაზუსტება ითხოვა, რაზეც საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ გასული საბჭოს სხდომაზე, ამჟამად დაწესებულების წარმომადგენლის სტატუსით წარმოდგენილი ვასილ კიკუტაძე, ექსპერტის სტატუსით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას წარადგენდა, შესაბამისად, როგორც საბჭოს წევრმა აღნიშნა, ინტერესთა კონფლიქტის გამო, ვასილ კიკუტაძეს აცილება უნდა გაეკეთებინა. საბჭოს წევრის თქმით, თავად ამ საკითხს მწვავედ დააყენებდა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი ტიპურ ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრის პასუხად, ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ გასულ საბჭოზე, მის მიერ დასკვნა არგუმენტირებულად იქნა წარმოდგენილი. ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან იგი არანაირ ფორმალურ ადმინისტრაციულ შეხებაში არ ყოფილა. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ პრობლემა რეალურად იყო ის, რომ ვასილ კიკუტაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური პროგრამის მომზადებაში იყო ჩართული თავის დამსაქმებელ დაწესებულებაში და ამავდროულად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ პროგრამას ექსპერტის სტატუსით ამოწმებდა.

განხილვის დასასრულს, საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის საკითხს მიუბრუნდა და დაინტერესდა თუ რამდენად გაართმევდა პროგრამის განხორციელებას თავს 8 აკადემიური კადრი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო საქართველოს მასშტაბით, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სიმრავლიდან გამომდინარე, სპეციალისტების სიმცირის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა და ექსპერტმა პასუხად განაცხადეს, რომ აკადემიური კადრები მხოლოდ ძირითად, მაპროფირებელ სასწავლო კურსებს უძღვებოდნენ.

17:11 საათზე, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

6-10

გ.ბ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.


სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები. მისი თქმით, საბჭო ცდილობდა ერთიანი მიდგომებით ემოქმედა - გასულ საბჭოს სხდომაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მართვით ანალოგიურ პროგრამას აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არასათანადო რაოდენობრივი თანაფარდობის გამო უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამასაც ანალოგიური პრობლემა ჰქონდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მაგდა მალრაძე



თავმჯდომარე
ნათელა სახოკია



მდივანი
ელიზბარ ელიზბარაშვილი

